ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

წლიური ანგარიში 2021

ნდობა ქმნის შესაძლებლობებს

ჩვენ შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველი ორგანოა. რეგულაციები, რომელსაც ჩვენ ვამკვიდრებთ, მიზნად ბიზნესის საქმიანობაში გამჭვირვალობის კულტურის შექმნას ისახავს. ბიზნესი, რომელიც არ უფრთხის გახსნილობას, უფრო სანდოა ინვესტორების, პარტნიორების, კრედიტორების, მფლობელების, მომხმარებლებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

მისია

ეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციის სანდოობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების გზით

ხედვა

გამჭვირვალე გარემო ქვეყნის განვითარების წინაპირობაა

რეესტრები

ვაწარმოებთ რეესტრებს:
- აუდიტორები
- აუდიტორული ფირმები
- სერტიფიცირებული ბუღალტრები
- განგრძობითი განათლება
- სასერტიფიკაციო პროგრამები
- საგამოცდო პროცესები

ზედამხედველობა

ვახორციელებთ:
- ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს
- მოკვლევას

სტანდარტები

ვთარგმნით და სამოქმედოდ შემოგვაქვს:
- ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები
- აუდიტორული მომსახურების სტანდარტები

ანგარიშგების პორტალი

- ვასაჯაროებთ ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებს
- ვქმნით მონაცემთა ბაზებს

განათლება

- ვადგენთ პროფესიული განათლების სტანდარტებს
- უზრუნველვყოფთ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს
- ვაქვეყნებთ სახელმძღვანელოებს და კვლევებს

ლექსიკონი

- ვაწარმოებთ ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტების ტერმინების ონლაინ ლექსიკონს
- უზრუნველვყოფთ ტერმინოლოგიის სისტემატურ განახლებას და დახვეწას

სარჩევი

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი

- ანგარიშგების წარდგენის სტატისტიკა
- ფასს სტანდარტები
- რეფორმის გავლენის შეფასება
- მსს ფასს ტაქსონომია
- ანგარიშგებების დეტალური განხილვა
- მსს ფასს სტანდარტის ტრენინგი
- ღონისძიებები
- ერთი ფანჯრის პრინციპი
- ვიდეოინსტრუქციები
- 2022 წლის პრიორიტეტები

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

- რეესტრები
- სარეკომენდაციო მითითებები და პუბლიკაციები
- ზედამხედველობის შედეგები
- მსოფლიო ბანკის ვებინარები
- ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი
- ღონისძიებები
- საწყისი და განგრძობითი პროფესიული განათლება
- სამომავლო გეგმები

- AML/CFT
- საბჭო
- ჩვენი რესურსები
- საზოგადოებასთან ურთიერთობა

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი

ანგარიშგების წარდგენის სტატისტიკა



2020 წელს ანგარიშგების წარდგენა ევალებოდა სდპ, I, II და III კატეგორიის 4,800-ზე მეტ სუბიექტს. წარდგენის მაჩვენებელმა ჯამში **94%** შეადგინა.



2021 წელს ანგარიშგების წარდგენა ევალებოდა სდპ, I, II , III და IV კატეგორიის 81,000-ზე მეტ სუბიექტს. წარდგენის მაჩვენებელმა სდპ, I, II, III კატეგორიებისთვის - **95%**, ხოლო IV კატეგორიის საწარმოების გათვალისწინებით 80% შეადგინა.

ანგარიშგების წარდგენისა და მომზადების ხარისხის ამაღლების მიზნით, სამსახურმა 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდთან დაკავშირებით გასცა 26 262 წერილობითი გაფრთხილება/ხარვეზის აქტი.

*2021 წელს საწარმოები წარადგენენ 2020 წლის ანაგრიშგებას.

რეფორმის გავლენის შეფასება

რეფორმის შედეგად ქვეყანაში დამკვიდრებული რეგულაციებისა და სტანდარტების გავლენის შესაფასებლად, 2020 წელს თვინინგის პროექტის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოკითხვა ჩაატარა.

რეფორმის გავლენის შეფასებისას, პროფესიისა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ მარეგულირებელმა ჩარჩომ მნიშვნელოვნად გაზარდა ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის აღქმადობა და ფინანსური ინფორმაციის მიწოდების დროულობა. კვლევის მიხედვით, ფინანსური ანგარიშგების თვისობრივი მახასიათებლები შეესაბამება გარე მომხმარებელთა მოთხოვნებს. ამასთან, გამოკითხულთა დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ საერთაშორისოდ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიღება საქართველოში მოქმედ კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს, გააუმჯობესონ ადგილობრივი ანგარიშგების საერთაშორისო ცნობადობა და ასევე გაზარდონ საკუთარი კომპანიების ღირებულება.

გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობის შეფასებით, SARAS-ის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ინიციატივები არა მხოლოდ გადამწყვეტ როლს ასრულებს ანგარიშგების ახალი მოთხოვნების დანერგვასა და აღსრულებაში, არამედ გავლენას ახდენს აუდიტისა და ანგარიშგების ხარისხზე.

ანგარიშგებების დეტალური განხილვა

იმისათვის, რომ რეპორტალზე წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობა გაიზარდოს, SARAS-მა რისკზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, 2020 წლიდან წარმოდგენილი ანგარიშგებების შინაარსობრივი განხილვა დაიწყო ფასს სტანდარტებსა და მსს ფასს სტანდარტთან მათი შესაბამისობის დასადგენად. ეს პროცესი კვლავ გრძელდება.

მიმოხილვის შედეგად, SARAS-მა მოამზადა დოკუმენტი - „ფინანსური ანგარიშგებების განხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები (მეორე გამოცემა)“, სადაც სდპ-ებისა და I კატეგორიის საწარმოთა ნაწილის 2019-2020 წლის ფინანსური ანგარიშგებების ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის სიღრმისეული განხილვის პროცესში გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამობებია შეჯამებული. მნიშვნელოვანია სუბიექტები ყურადღებით გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტს, გააანალიზონ და გაითვალისწინონ ანგარიშგების მომზადების პროცესში, რაც, თავის მხრივ, ანგარიშგების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

SARAS-მა ვებგვერდზე განათავსა დოკუმენტი „2020 და 2021 წლების ანგარიშგებების განხილვის პრიორიტეტები“, სადაც ის საკითხებია ასახული, რაზეც SARAS-ი 2020-2021 წლების ანგარიშგებების განხილვის პროცესში გაამახვილებს ყურადღებას. მასში ასევე აღწერილია, თუ რა კრიტერიუმებით შეირჩევა სუბიექტების მიერ წარდგენილი და გასაჯაროებული ანგარიშგებები.

COVID-19

SARAS-მა COVID-19-თან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებებიც განაახლა. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია პანდემიით გამოწვეული პოტენციური შედეგებიდან ყველაზე აქტუალურზე. მნიშვნელოვანია საწარმოები გაეცნონ დოკუმენტს და გაითვალისწინონ ანგარიშგების მომზადებისას.

ღონისძიებები

SARAS-ი ყოველთვის ითვალისწინებს სფეროსთვის აქტუალურ საკითხებს და შესაბამის ღონისძიებებს მართავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის.

პანდემიიდან გამომდინარე, 2021 წელს ღონისძიებები კვლავ დისტანციურად გაიმართა:

1500 დამსწრე

გავმართეთ 7 დისტანციური ღონისძიება

800 დამსწრე

მონაწილეობა მივიღეთ 3 დისტანციურ ღონისძიებაში

ფასს სტანდარტები და მმართველობის ანგარიშგება - მნიშვნელოვანი სიახლეები

17 ნოემბერს, SARAS-მა და IFRS Foundation-მა, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის მხარდაჭერით, მეხუთე დისტანციური ღონისძიება გამართეს, თემაზე: „ფასს სტანდარტები და მმართველობის ანგარიშგება - მნიშვნელოვანი სიახლეები".

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

IFRS®

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

ამჯერად ღონისძიებას IASB-ის წევრი - ტადეუ სენდონი წარუძღვა. მან ფასს სტანდარტებისა და მმართველობის ანგარიშგების სფეროებში დაგეგმილი ცვლილებები მიმოიხილა და დამსწრეების კითხვებს უპასუხა.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკის და მდგრადი ფინანსების საკითხებზე შეხვედრა გაიმართა

21 მაისს, SARAS-ის წარმომადგენელმა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) და საქართველოს ეროვნულმა ბანკის მიერ, შვეიცარიის ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნო SECO-ის მხარდაჭერით, ერთობლივად გამართულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

IFC SECO საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia

მან მდგრადობის ანგარიშგებასთან (sustainability reporting) დაკავშირებული საერთაშორისო ინიციატივების, კერძოდ ევროკავშირის ახალი დირექტივის, აგრეთვე ფასს ფონდის შესაბამისი სტანდარტის შემუშავების გეგმების და საქართველოს სავარაუდო ჩართულობის შესახებ ისაუბრა.

ბარტა 2021

14 დეკემბერს, საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდოს (BARTA) 2021 წლის გამარჯვებული კომპანიები გამოვლინდნენ. ჯილდო ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების ერთობლივი პროექტის მიერ საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების რეფორმების მხარდაჭერის ეროვნულ ფონდთან პარტნიორობით, სამი წლის წინ შეიქმნა.

საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო

ჯილდოს მიზანია ანგარიშგების შესაბამისობის ხელშეწყობა არსებულ სტანდარტებთან, კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის წახალისება და კორპორაციული ანგარიშგების ხარისხის ამაღლება ქვეყნის მიერ ინვესტორთა ნდობის ზრდის პროცესში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე

ვიდეოინსტრუქციები

2021 წელს ანგარიშგების პორტალი განახლდა. გარდა ამისა, გარკვეული ავტომატური შემოწმებები დაემატა ანგარიშგების წარდგენის სისტემას. აღნიშნული განახლება წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის ამაღლებას ემსახურება.

ანგარიშგების წარდგენის პროცესის გამარტივებისა და განახლებულ სისტემაში ეფექტური ნავიგაციის ხელშესაწყობად, SARAS-მა 14 ვიდეოინსტრუქცია ჩაწერა და სოციალურ ქსელებში განათავსა. ვიდეოინსტრუქციებს ჯამში სამოცი ათასამდე ნახვა ჰქონდა.

განახლებული ფასს სტანდარტები

2021 წელს სამოქმედოდ იქნა შემოღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები) ლურჯი წიგნის 2021 წლის გამოცემა. ქართულ ენაზე თარგმნილი სტანდარტები SARAS-ის ვებგვერდზე განთავსდა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

აღსანიშნია, რომ 2021 წელს, საქართველო პირველი იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც თარგმნეს და სამოქმედოდ შემოიღეს ლურჯი წიგნის 2021 წლის გამოცემა.

გარდა ამისა, 2021 წელს ფასს სტანდარტების გარკვეული ტერმინებიც განახლდა. განახლებული ტერმინების ჩამონათვალი, SARAS-ის ვებგვერდზეა განთავსებული.

IV კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის თვითსწავლების განახლებული სახელმძღვანელო

IV კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშების სტანდარტის გამოყენების გამარტივების მიზნით, მეოთხე კატეგორიის საწარმოთა წარმომადგენლებისთვის თვითსწავლების სახელმძღვანელო განახლდა. განახლებული სახელმძღვანელო SARAS-ის ვებგვერდზეა განთავსებული და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი.

ცვლილებების შესახებ SARAS-ის თანამშრომლებმა სხვადასხვა ღონისძიებაზე ისაუბრეს და საზოგადოებისთვის საინტერესო კითხვებს უპასუხეს.

განახლებული სტანდარტი და სახელმძღვანელო მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში შემუშავდა.

მსს ფასს ტაქსონომია

SARAS-სა და ფასს ფონდს შორის გაფორმებული სალიცენზიო ხელშეკრულების შესაბამისად, სამსახურმა ფასს ტაქსონომიის ქართულ ენაზე თარგმნა დაიწყო (ფასს ტაქსონომია მოიცავს როგორც ფასს, ასევე მსს ფასს ტაქსონომიას).

2021 წელს მსს ფასს ტაქსონომიის ქართულენოვანი მასალა SARAS-ის ვებგვერდზე განთავსდა. გაცნობებთ, რომ SARAS-ი ფასს ტაქსონომიას თარგმნის და ის ვებგვერდზე 2022 წელს განთავსდება.

ფასს ტაქსონომია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერაა შემუშავებული. მისი მიზანი ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური მონაცემების ელექტრონული გამოყენებისა და მიმოცვლის ხელშეწყობაა. ფასს ტაქსონომიის ქართულ ენაზე თარგმნა პირველი ნაბიჯია ანგარიშგების სფეროს სპეციალისტებისთვის ახალი გარემოს შესაქმნელად.

ფასს ტაქსონომია ერთ-ერთია ანგარიშგების სფეროს სპეციფიკურ ლექსიკონთაგან, რომელსაც XBRL-ის მომხმარებლები იყენებენ. XBRL-ი არის ღია საერთაშორისო სტანდარტი ბიზნეს ანგარიშგების ციფრული წარმოებისთვის. იგი ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაციის ხარისხიანად ძებნის და მონიშვნის ფუნქციას ემსახურება, რაც, თავის მხრივ, ანგარიშგების პროცესს აჩქარებს და აიოლებს. XBRL-ის მთავარი მიზანი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაა, რის მიღწევასაც ანგარიშგების გაუმჯობესებით ცდილობს. მას მსოფლიო მასშტაბით, 50-ზე მეტ ქვეყანაში იყენებენ.

ერთიანი ევროპული ელექტრონული ფორმატი (ESEF) და ციფრული ბიზნეს ანგარიშგების სტანდარტი (XBRL)

SARAS-ის ინიციატივით, „თვინინგის" პროექტის დასკვნითი ეტაპის ფარგლებში, 5 თებერვალს, ონლაინ ღონისძიება გაიმართა თემაზე: „ერთიანი ევროპული ელექტრონული ფორმატი (ESEF) და ციფრული ბიზნეს ანგარიშგების სტანდარტი (XBRL)".

შეხვედრა ESEF-ისა და XBRL-ის გამოყენების საკვანძო საკითხების მიმოხილვას ისახავდა მიზნად. მას SARAS-ის და საფინანსო-ანალიტიკური სამსახურების, საქართველოს ეროვნული ბანკის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, სემეკისა და კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრის ფარგლებში, საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო ხედვებზე შედგა დიალოგი, მათ შორის, ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვის მიმართულებით.

ევროპელმა ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს პირველი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს მხარემ უკვე გადადგა ფასს ტაქსონომიის თარგმნის კუთხით. საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლა იგეგმება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.



მსს ფასს სტანდარტის ტრენინგი

მსს ფასს სტანდარტის ტრენინგის პროგრამა, SARAS-ის ინიციატივით, 2019 წელს დაიწყო. მისი მიზანი მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში მომუშავე ბუღალტრების, ფინანსისტების და სხვა დაინტერესებული პირების კვალიფიკაციის ამაღლებაა.

ტრენინგები მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში გაიმართა.

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

2019 წელს, 1000-მდე პირი გადამზადდა. მონაწილე მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის, აგრეთვე სამსახურში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გათვალისწინებით, მსს ფასს ტრენინგების პროგრამა წარმატებულად შეფასდა. შესაბამისად, მსოფლიო ბანკის დაფინანსებითა და პროფესიული ორგანიზაციების და ბიზნესასოციაციების ჩართულობით, პროექტი 2020 წელსაც გაგრძელდა და 400-მდე პირი გადამზადდა, ხოლო 2021 წელს - 128.

ქართულ ენაზე თარგმნილი სასწავლო მასალები სამსახურის ვებგვერდზეა განთავსებული და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვისაა ხელმისაწვდომი.

ტრენინგები ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გადამზადებული ტრენერების მეშვეობით, ფასს ფონდთან სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე შემუშავებული სატრენინგო მასალის გამოყენებით ჩატარდა.

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

ტრენინგის შედეგები

2020 ფინანსური წლისთვის, საქართველოს საწარმოთა 15%-მა (IV კატეგორიის საწარმოთა გათვალისწინების გარეშე) ფინანსური ანგარიშგება ფასს სტანდარტებით მოამზადა, ხოლო 85%-მა მსს ფასს სტანდარტით. გთავაზობთ გადამზადებული პირების მიერ მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული და SARAS-ის მიერ 2021 წელს უხარვეზოდ გასაჯაროებული ანგარიშგებების სტატისტიკას ზომითი კატეგორიების მიხედვით:



ასოცირების შეთანხმება
ASSOCIATION AGREEMENT

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მაჩვენებელი

SARAS-ი აგრძელებს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებითა და დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და 2021 წლის განმავლობაში ღონისძიებები 5 განსხვავებული აქტივობის ფარგლებში განხორციელდა. აღნიშნული დინამიკური პროცესია და განსაზღვრული აქტივობების განხორციელება 2022 წელსაც იგეგმება.

ერთი ფანჯრის პრინციპი

რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა უწყებათაშორისი თანამშრომლობა. ჩვენ მუდმივად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა სტრუქტურებთან.

წლის განმავლობაში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა შემდეგ უწყებებთან:

- შემოსავლების სამსახური
- საქართველოს ეროვნული ბანკი
- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
- ა(ა)იპ სამოქალაქო განვითარების სააგენტო/გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

2022 წლის პრიორიტეტები

ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებლის გაუმჯობესება

შეხვედრები ბიზნესის წარმომადგენლებთან შემდეგ საკითხებზე: რეფორმის სარგებელი, ხშირად დასმული კითხვები, ხშირად დაშვებული შეცდომები და მეოთხე კატეგორიის საწარმოთა სტანდარტი.

წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

წარდგენილი წლიური ანგარიშგებების კანონთან და ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობა;

წარდგენილი წლიური ანგარიშგებების სტანდარტებთან შესაბამისობა;

საერთაშორისო სტანდარტების განახლების მიმოხილვის ღონისძიება;

განხორციელებული/დაგეგმილი ცვლილებების შესახებ. ღონისძიება იგეგმება ა.წ ნოემბერს;

ფასს სტანდარტების თარგმნა და სამოქმედოდ შემოღება;

XBRL-ის დანერგვაზე აქტიური სამუშაო პროცესის დაწყება. (პროექტი გულისხმობს ანგარიშგებების სრულ ციფრულ ფორმატში გადატანას).

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

საინვესტიციო გარემოს განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის აუდიტორული მომსახურების განხორციელება. ბოლო ათეული წლებია მსოფლიოს მასშტაბით, ხოლო 2016 წლიდან საქართველოშიც აუდიტის ხარისხის ზედამხედველობა სახელმწიფოს კანონიერი მიზანი გახდა, რაც საზოგადოების/ინვესტორთა უფლებების დაცვას ემსახურება.

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით განხორციელებული პროცესების აქტუალობა სწორედ სახელმწიფოს ამ ვალდებულებიდან გამომდინარეობს. ის მოიცავს რეესტრების წარმოებას, განათლების სტანდარტების დანერგვას, მოკვლევას/ხარისხის კონტროლს და ეფექტიანი რეფორმების გატარებას, როგორც აუდიტის პროფესიაში შემომსვლელ, ასევე, უკვე დასაქმებული პირების მიმართ. რეფორმის ეფექტიანად განხორციელების პროცესში სამსახური თანამშრომლობს პროფესიის წარმომადგენლებთან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით მართავს სამუშაო შეხვედრებს.

სამსახურის მიზანია მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით უპასუხოს სფეროში არსებულ გამოწვევებს, რეფორმის აღსრულებაში ჩართული მოხელეების ეთიკა მუდმივად ეყრდნობოდეს მოქმედ კანონმდებლობას და სფეროში დამკვიდრებულ სტანდარტებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სამსახურის ობიექტურობას და დამოუკიდებლობას, რითაც ხელს უწყობს პროფესიულ ზრდას და ხარისხის განვითარებას, ღიაობას თანამშრომლობისთვის საერთო მიზნების მისაღწევად.

საქართველოში აუდიტის სფეროს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, SARAS-მა მნიშვნელოვანი რეესტრები შექმნა: აუდიტორები, აუდიტორული ფირმები, სერტიფიცირებული ბუღალტრები და ა.შ. SARAS-ი ყოველწლიურად ასახავს რეესტრების სტატისტიკას წლიურ ანგარიშში, რაც ცვლილებებისა და პროგრესის დაკვირვების საშუალებას იძლევა.

რეესტრები

სერტიფიცირებული ბუღალტრების ერთიან რეესტრში ასახულია ინფორმაცია საქართველოში მოქმედი პროფესიული ორგანიზაციის წევრი, სერტიფიცირებული ბუღალტრების შესახებ.

სერტიფიცირებული ბუღალტრების ერთიანი რეესტრი

2020 წელი
829

2021 წელი
856

აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრი

ეს არის სანდო საინფორმაციო რესურსი, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ყველა იმ ფიზიკური და იურიდიული პირის შესახებ, რომლებსაც საქართველოში აუდიტორული მომსახურების განხორციელება შეუძლიათ. რეესტრის მეშვეობით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების მიღების მიზნით, დაინტერესებული ინვესტორები, საწარმოების ხელმძღვანელები, საწარმოების აუდიტის კომიტეტები და სხვა დაინტერესებული მხარეები აუდიტორების/აუდიტორული ფირმების შესახებ დეტალურ ინფორმაციას იღებენ.

აუდიტორული ფირმები



აუდიტორები



აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების ბაზრის მოცულობა
(ათას ლარებში)



აუდიტორული და პროფესიული მომსახურებების ბაზარზე დასაქმებული პერსონალი



- აუდიტორული მომსახურებიდან
- სრული შემოსავლები

- აუდიტორული მომსახურების პერსონალი
- პერსონალი სრულად

აუდიტორული მომსახურების ბაზრის დაზღვევა

ზედამხედველობის შედეგები

აუდიტის სფეროს ზედამხედველობა SARAS-მა 2016 წლიდან დაიწყო. წინა გვერდებზე მოცემული ინფორმაციიდან ჩანს, რომ აუდიტორული და სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები, ისევე როგორც აუდიტორულ და სხვა პროფესიულ მომსახურებაში ჩართული პირების რაოდენობა ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდებოდა. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ზედამხედველობა პოზიტიურად აისახა აღნიშნულ სფეროზე.

2 0 1 6 - 2 0 2 1





შემოსავლების ზრდა:

აუდიტორული მომსახურება
პროფესიული მომსახურება
მთლიანი ზრდა

პერსონალის ზრდა:

აუდიტორულ მომსახურებაში
პროფესიულ მომსახურებაში
მთლიანი ზრდა

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი

აუდიტორული ფირმების/აუდიტორების აუდიტის ხარისხის კუთხით არსებული მდგომარეობის გამოსავლენად, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ხორციელდება სრულად ან თემატურად. მონიტორინგი შეიძლება დაიწყოს როგორც SARAS-ის ინიციატივით, ასევე ინდივიდუალური აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის შესაბამისი მომართვის საფუძველზე.

აუდიტორული ფირმების, აუდიტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ, ვებგვერდზე განთავსდა ინფორმაცია 2021 წლის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დაგეგმილი მიმართულებების შესახებ, სადაც მონიტორინგის სახეები, ვადები, მონიტორინგის დაწყების ინდიკატორები და მონიტორინგის პროცესებია ასახული.

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ მონიტორინგის შედეგების სტატისტიკას:

ხკსს 1 სტანდარტის დარღვევის ფაქტები



ხარისხზე პასუხისმგებლობა
ეთიკური მოთხოვნები
დამკვეთის აყვანა
შრომითი რესურსები
გარიგების შესრულება
მონიტორინგი

მონიტორინგის ფარგლები

36 აუდიტორული ფირმები

00 ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორები

2021 წელს დაწყებული მონიტორინგები

32 აუდიტორული ფირმები

00 ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორები

2021 წელს დასრულებული მონიტორინგები

სტანდარტების და კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები

ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის	168
აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების	1235
კომპლექსური დარღვევის ფაქტები, რომელიც განსაკუთრებულ გარემოებად ჩამოყალიბდა მონიტორინგის საბოლოო ანგარიშებში	08

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის ფაქტები



გამოვლენილი ფაქტების მნიშვნელოვნება და სისტემურობა





მონიტორინგის შედეგები



- IV კატეგორია
- III კატეგორია
- V კატეგორია
- დასრულდა თემატური
- II კატეგორია
- შეწყვეტა

საწყისი და განგრძობითი პროფესიული განათლება

საქართველოში აუდიტორული მომსახურების მაღალი ხარისხის მიღწევა SARAS-ის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. ამ მიზნის მისაღწევად პროფესიული სერტიფიცირების და განგრძობითი განათლების სტანდარტები დადგინდა, რომლებიც ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES) შეესაბამება. ხარისხის შესანარჩუნებლად, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, SARAS-ი ყოველწლიურად აღიარებს პროფესიული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ განგრძობითი განათლების პროგრამებს.

სერტიფიცირების სტატისტიკა

2021	29
2020	25
2019	16
2018	21

სარეკომენდაციო მითითებები და პუბლიკაციები

სამუშაო დროის აღრიცხვის ადაპტირებული ფორმა

2021 წლის 1 მარტიდან სამუშაო დროის აღრიცხვა სავალდებულო გახდა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დამსაქმებლებისთვის. ამასთანავე, ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს 1) აუდიტორებს/აუდიტორულ ფირმებს არაერთგზის მიუთითებს გარიგების პარტნიორების და პერსონალის დატვირთვის (სამუშაოს მოცულობის) განსაზღვრისთვის განკუთვნილი სისტემების არსებობის აუცილებლობაზე.

რეკომენდაციის სახით, აუდიტორებისთვის/აუდიტორული ფირმებისთვის SARAS-მა სამუშაო დროის აღრიცხვის ადაპტირებული ფორმა შეიმუშავა და ვებგვერდზე განათავსა. დოკუმენტი სრულად შეესაბამება ზემოაღნიშნული წესით დადგენილ ფორმას.



IFAC-ისა და ACCA-ის სამი პუბლიკაცია

მსოფლიო ბანკმა, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში, ქართულ ენაზე თარგმნა IFAC-ისა და ACCA-ის სამი პუბლიკაცია, რომელიც პროფესიისთვის აქტუალურ თემებს შეეხება:

- საქმიანობის დასრულების (შეწყვეტის) წარმატებული სტრატეგიები - ესტაფეტის გადაცემა;
- რატომ არის საერთაშორისო ქსელში გაერთიანება კარგი სვლა მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებისთვის;
- გლობალური ფირმები პანდემიის მიუხედავად განაგრძობენ ზრდას.

IFAC-ის პუბლიკაცია

SARAS-ის ვებგვერდზე ქართულად თარგმნილი პუბლიკაცია - „აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ხარისხის მართვის ახალი სტანდარტების შემუშავება: მიმოხილვა“ - განთავსდა, რომელშიც IAASB-ის აუდიტის ხარისხის მართვის ახალი სტანდარტებია განხილული.

სარეკომენდაციო მითითებები

ანგარიშგების აუდიტის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სარეკომენდაციო მითითებები

მგსს 3000-ის (გადასინჯული) შესაბამისად შესრულებული გარიგების შესახებ საკონტროლო კითხვარი

აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიერ რეესტრში რეგისტრაციის შედეგად მინიჭებული სტატუსის და ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომრის გამოყენების თაობაზე

სარეკომენდაციო მითითება ჩათვლების მისაღებად საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირების ცალკეული დისციპლინების (საგნების) სილაბუსებთან მიმართებით

მსოფლიო ბანკის ვებინარები

2021 წელს მსოფლიო ბანკმა მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების (SMP) მხარდასაჭერად ვებინარების სერია შეიმუშავა.

ვებინარებზე მსმენელებმა სფეროს წამყვან სპეციალისტთა ცოდნა გაიზიარეს და პანდემიის შედეგად შექმნილი კრიზისის დაძლევის საშუალებებს გაეცნენ.

ვებინარები ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში გაიმართა.

ევროკავშირი საქართველოსთვის

THE WORLD BANK

ღონისძიებები

SARAS-ის თანამშრომლები 2021 წლის განმავლობაში შემდეგ ღონისძიებებს დაესწრნენ:

აუდიტორული ზედამხედველობა ევროკავშირში: საფრანგეთის გამოცდილება – CFRR

IFIAR-ის აუდიტის ინსპექტირების მეთხუთმეტე სემინარი

IFIAR-ის ყოველწლიური პლენარული სხდომა

IFAC-ისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ღონისძიება - ახალი ISQM-ები: ხარისხის მართვის დონის ამაღლება

აუდიტორული ზედამხედველობა ევროკავშირში: სლოვენიის გამოცდილება – CFRR

IFIAR-ის „აღსრულების სემინარი“

SARAS-ის თანამშრომლებმა შემდეგ ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა:

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის სხდომა

სხდომაზე, დადებითი შეფასება მიეცა საქართველოს მიერ ევროკავშირთან დაახლოებისა და ასოცირების შეთანხმების განხორციელების თვალსაზრისით განხორციელებულ რეფორმებს, როგორც საკანონმდებლო ასევე ინსტიტუციონალური თავსებადობის მიმართულებით. განსაკუთრებით აღინიშნა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, სამთო-მოპოვებითი, ტურიზმის, საბაჟო, სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკის მიმართულებით მიმდინარე წარმატებული თანამშრომლობა.

აზერბაიჯანის აუდიტორთა პალატის 25 წლის იუბილე

ღონისძიებას სხვადასხვა ქვეყნის საზედამხედველო უწყებებისა და აუდიტის სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიებაში მონაწილეობა SARAS-ის წარმომადგენლებმაც მიიღეს. მათ საქართველოსა და სხვა ქვეყნების აუდიტის სფეროში არსებული სანქციები მიმოიხილეს.

სსე-ს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტსა და SARAS-ის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის ინიციატივით, სამომავლო თანამშრომლობის თაობაზე შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მონაწილეებმა აუდიტის ხარისხის შეფასებისათვის აუდიტის კომიტეტების მიერ გამოყენებული, გამოცდილ ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკა და ანალოგიური პრაქტიკის საქართველოს ბაზარზე დანერგვის შესაძლებლობები განიხილეს. საუბარი აუდიტის კომიტეტების ხელთ არსებულ მექანიზმებსაც შეეხო, რომელიც ფინანსური ანგარიშგების და მისი აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და, შესაბამისად, ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესების დაცვისაკენ არის მიმართული.

მსოფლიო ბანკის შეხვედრა უნივერსიტეტებთან

შეხვედრაზე - „ეროვნული საგანმანათლებლო ინიციატივები ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში უმაღლესი და პროფესიული განათლების ინტეგრაცია“ - SARAS-ის თანამშრომელი აუდიტორიის წინაშე სიტყვით წარდგა და დამსწრეებს პროფესიული სერტიფიცირებისათვის განკუთვნილი სარეკომენდაციო სილაბუსის პროექტი წარუდგინა, რომლითაც უნივერსიტეტები ჩათვლების მიღების პროცესში იხელმძღვანელებენ.

სფეროს სიახლეები

IFIAR-ის ინსპექტირების შედეგების ყოველწლიური კვლევის ანგარიში

ინსპექტირების შედეგების ყოველწლიური კვლევის ამსახველი ანგარიში 54 წევრი ქვეყნის საზედამხედველო ორგანოების მიერ მომზადებულ იმ მონაცემებს ეფუძნება, რომელიც ექვსი უმსხვილესი გლობალური აუდიტორული ფირმის ქსელთან დაკავშირებულ აუდიტორულ ფირმებში განხორციელებული ინსპექტირების შედეგად იქნა მიღებული. კვლევაში SARAS-ის მეშვეობით, საქართველომაც მიიღო მონაწილეობა.

IFIAR-მა ახალი კვლევის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა

IFIAR-ის წევრების გამოკითხვის პასუხების შესაბამისად გამოცემული ანგარიში სხვადასხვა საკითხზე დაკვირვებებს აჯამებს.

2022 წლის მიზნები

განახლებული ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარით გათვალისწინებული ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის და აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების თარგმნა და სამოქმედოდ შემოღება;

•••

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

•••

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის პრიორიტეტული მიმართულებების გამოქვეყნება და განხორციელება

AML/CFT

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი 2019 წელს ამოქმედდა. კანონი საერთაშორისო გამოცდილებაზეა მორგებული და დიდ მნიშვნელობას ატარებს სფეროს განვითარებისთვის. სწორედ ამიტომ, SARAS-ი აქტიურად მუშაობს კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობის მაქსიმალურად დახვეწისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიმართულებით.

2021 წელს, აუდიტორების/აუდიტორული ფირმებისა და ბუღალტრებისთვის ონლაინ ტრენინგი გაიმართა, თემაზე: AML/CFT ნორმებთან შესაბამისობა საბუღალტრო/აუდიტორული სექტორისთვის. რეფორმის მიზნებისთვის, აღნიშნული ტრენინგი 2022 წელს, დამატებით კიდევ ორჯერ გაიმართება.

ტრენინგები პროექტის - „კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში" (ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამა "პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის" PGG II) -

„რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობა“ - FATF-ის ვებინარი

ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) მიზანია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ღონისძიებების განვითარება და ასევე, ფულის გათეთრების წინააღმდეგ საერთო პოლიტიკის წარმართვა.

SARAS-ის თანამშრომლები FATF-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ვებინარს - „რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობა“ - დაესწრნენ. ვებინარი მიზნად ისახავდა მონაწილეების ცოდნის გაღრმავებას FATF-ის რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის სახელმძღვანელო მითითებების ავტორების მიერ, ფულის გათეთრების რისკების შეფასებისა და მათი სწორად მართვის შესახებ.

ცვლილება SARAS-ის ხელმძღვანელობაში

დაარსებიდან (2016 წლიდან), 2021 წლის 1 სექტემბრამდე SARAS-ს იური დოლიძე ხელმძღვანელობდა. 8 ოქტომბრიდან, ბატონი იური ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს წევრი გახდა, როგორც ბიზნესასოციაციების წარმომადგენელი.

SARAS-ის გუნდი მადლობას უხდის ბატონ იურის გაწეული სამუშაოსთვის და იმ მნიშვნელოვანი წვლილისთვის, რომელიც მან სფეროს განვითარებაში შეიტანა.

SARAS-ის ხელმძღვანელად დავით მჭედლიძე დაინიშნა. ბატონი დავითი 2017 წლიდან ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის პოზიციას იკავებდა. ოთხი წლის განმავლობაში მან, თავის გუნდთან ერთად, მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა.

ცვლილება განხორციელდა ასევე აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტში - დეპარტამენტის ხელმძღვანელად თორნიკე ძაგნიძე დაინიშნა. ბატონი თორნიკე სამსახურის გუნდს 2017 წელს შემოუერთდა აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორის პოზიციაზე.

საბჭო

საბჭო არის SARAS-თან არსებული ორგანო, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. თავის საქმიანობაში საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს მარეგულირებელი ევროკავშირის დირექტივებით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და საბჭოს დებულებით.

საბჭოს შემადგენლობა 2021 წლის პირველ ნახევარში

ნიკოლოზ გაგუა
საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს წევრები:

ეკატერინე მიქაბაძე

ლევან საბაური

ნიკოლოზ ყაველაშვილი

შოთა კომლაძე

ირაკლი თუთარაშვილი

გიორგი ვასაძე

საბჭოს მოწვეული პირები:

სალომე სხირტლაძე

ანდრია მანელაშვილი

პანაიოტის იანოპულოსი

საბჭოს განახლებული შემადგენლობა 2021 წლის მეორე ნახევარში

ცოტნე ყავლაშვილი
საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს წევრები:

ნინო ენუქიძე

ლევან საბაური

ნიკოლოზ ყაველაშვილი

ირაკლი თუთარაშვილი

იური დოლიძე

ზურაბ მამუკელაშვილი

საბჭოს მოწვეული პირები:

სალომე სხირტლაძე

ანდრია მანელაშვილი

პანაიოტის იანოპულოსი

დავების განხილვა

07 26

სულ შემოვიდა
33 საჩივარი

- აუდიტის მიმართულებით
- ანგარიშგების მიმართულებით

ჯამში განხილულია
21 საჩივარი



ჩვენი რესურსები

28 თანამშრომელი

11 პრაქტიკანტი



საზოგადოებასთან ურთიერთობა

- დისტანციური მომსახურება მიმდინარეობდა ცხელი ხაზისა და მეილების საშუალებით.
- SARAS.GOV.GE -სა REPORTAL.GE -ზე განთავსდა სფეროში მიმდინარე სიახლეები.
- ჩაიწერა სასწავლო-საინფორმაციო სახის ვიდეოინსტრუქციები.



73,894 უნიკალური ვიზიტორი
693,401 წლიური ნახვა

76,406 უნიკალური ვიზიტორი
1,124,833 წლიური ნახვა

8,056 გამომწერი
1,342 ახალი გამომწერი

1,233 გამომწერი
516 ახალი გამომწერი

1,195 გამომწერი
406 ახალი გამომწერი

ვიდეო ინსტრუქციები
საინფორმაციო ვიდეოები
ვებინარების ჩანაწერები